

საკვერცხის კიბო ცნობარი

ა ეს საკვერცხის კიბე?

ENGAGe
ESGO European Network of Gynaecological Cancer Advocacy Groups

The European Voice of Gynaecological Oncology

ENGAGE იწყებს ცნობარების გამოცემას გინეკოლოგიური კიბოს შესახებ ცოდნის ამაღლებისა და მოსახლეობის დონეზე ქსელის საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით.

- საკვერცხის კიბო ქალის რეპროდუქტიული სისტემის სიმსივნეებს შორის სიკვდილობის ყველაზე მეტი შემთხვევის გამომწვევი სიმსივნეა. გვიან სტადიაბზე დიაგნოზირებასთან ერთად მნიშვნელოვნად მცირდება ხუთწლიანი გადარჩენადობის პერიოდი.
- საკვერცხის კიბოს განვითარების რისკი იზრდება იმ ქალებში, რომლებსაც სპეციფიური მემკვიდრეობითი გენური დარღვევები აქვთ. საკვერცხის კიბო გენური დარღვევის- BRCA მუტაციის მქონე ქალების **40%**-ზე მეტს უვითარდება, მაშინ, როცა ზოგად პოპულაციაში ეს რისკი **1.4 %-ს შეადგენს**. საკვერცხის კიბო იწვევს იმაზე მეტ სიკვდილიანობას, ვიდრე ქალის რეპროდუქტიული სისტემის სხვა რომელიმე სიმსივნე. ყოველწლიურად საკვერცხით გამოწვეული სიკვდილობა ევროპაში 42.700 აღწევს. კიბოს აღმოსაჩენად რომელიმე სკრინინგული პროგრამის ეფექტურობა დადგენილი არ არის.

ENGAGE(the European Network of Gynecological Cancer Advocacy Groups- გინეკოლოგიური კიბოს საადვოკაციო ჯგუფების ევროპული ქსელი) წარმოადგენს ქსელს ყველა იმ საადვოკაციო ჯგუფისთვის, რომლებიც წარმოადგენენ გინეკოლოგიური კიბოს- განსაკუთრებით საკვერცხის, ენდომეტრიუმის, ყელის, ვულვის და იშვიათ სიმსივნეებს. ENGAGE დაარსებულია 2012 წელს ESGO ს მიერ. (European Society for Gynecological Cancer).

საკვერცხის კიბოს სიმპტომები არასპეციფიურია და შესაძლოა მიეკუთვნოს სხვა, ნაკლებად სერიოზულ მდგომარეობებს. ამ მიზეზით, შემთხვევები ხშირად დიაგნოზირდება გვიან სტადიებზე, როცა გადარჩენადობის მაჩვენებელი გაცილებით დაბალია.

თუმცა, ბოლო 35 წლის მანძილზე 5 წლიანი გადარჩენადობა გახანგრძლივდა იმის მიხედვით, თუ როგორია მკურნალობის რეკომენდებული მოდელები (ქირურგიული და ქიმიოთერპიული) და მათი კომბინაცია.

References:

1. Permuth-Wey J, Sellers TA. Epidemiology of ovarian cancer. Methods Mol Biol. 2009;472:413-37. http://www.ncbi.nlm.nih.gov/pubmed/19107446. Last Accessed 26 August 2014.
2. Cancer Research UK. Ovarian cancer survival statistics. http://www.cancerresearchuk.org/cancer-info/cancerstats/types/ovary/survival/ovarian-cancer-survival-statistics. Last Accessed 21 August 2014
3. National Cancer Institute. BRCA1 and BRCA2: cancer risk and genetic testing. http://www.cancer.gov/cancertopics/factsheet/Risk/BRCA. Last accessed: 6 August 2014
4. Cancer Research UK. Ovarian cancer mortality statistics. http://www.cancerresearchuk.org/cancer-info/cancerstats/types/ovary/mortality/. Last Accessed 4 September 2014
5. Cancer Research UK. Ovarian cancer symptons. http://www.cancerresearchuk.org/cancer-info/cancerstats/types/ovary/mortality/. Last Accessed 4 September 2014
6. NIH Cancer Stat Facts: ovarian cancer, 2014

საკვერცხის კიბო

რა არის საკვერცხის კიბო?

საკვერცხის კიბო არის სერიოზული, სიცოცხლისათვის საშიში დაავადება და მსოფლიოში მეშვიდე, ყველაზე ხშირად დაიგნოზირებადი კიბო ქალთა შორის. ევროპაში საკვერცხის კიბო სიხშირით მეექვსე კიბოა ქალთა შორის, 65 000-ზე მეტი შემთხვევით 2012 წლის მონაცემებზე დაყრდნობით. საკვერცხის კიბოსთან ასოცირებული მაღალი სიკვდილობა გაპირობებულია მისი გვიან სტადიებზე დიაგნოზირებით, როცა პაციენტს უკვე არასაიმედო პროგნოზი აქვს.

რა არის საკვერცხის კიბის სტადიები?

კიბოს სტადია აჩვენებს ექიმს, თუ რამდენად შორსაა წასული პროცესი ზრდისა და გავრცელების მიხედვით. შემუშავებულია ოთხი სტადიის მომცველი სისტემა.

სტადია 1

სიმსივნე მხოლოდ საკვერცხეშია

სტადია 2

სიმსივნის ზრდა გასცდა საკვერცხეების საზღვრებს და მენჯშია ლოკალიზებული

სტადია 3

სიმსივნე გავრცელებულია მუცლის ღრუში

სტადია 4

სიმსივნე გავრცელებულია საკვერცხიდან დაშორებულ სხვა ორგანოებში (მაგ. ღვიძლსა და ფილტვებში)

რა არის საკვერცხის კიბის სიმპტომები?

საკვერცხის კიბოს სიმპტომები მოიცავს:

- მენჯისა და მუცლის მუდმივ არეში ტკივილს
- მუცლის ზომების მომატებას/ მუდმივ ყურყურს-არა მოვლითს
- ჭამის გაძნელებას და სწრაფი დანაყრების შეგრძნებას
- გაზრდილ მოთხოვნას შარდვაზე და/ან გახშირებულ შარდვას

რადგანაც საკვერცხის კიბოს სიმპტომები არასპეციფიურია და შესაძლოა, სხვა მდგომარეობებს მიეწეროს, მაგ. გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომი, პაციენტების დაახლოებით 60% მხოლოდ კიბოს შორსწასულ, დაგვიანებულ სტადიაზე დიაგნოზირდება (სტადია III და IV), რაც მნიშვნელოვნად ამცირებს წარმატებული მკურნალობის შანსებს.

მაღალი ხარისხის სეროზული კარცინომა არის საკვერცხის კიბოს ყველაზე ხშირი ფორმა. საკვერცხის კიბოს დაახლოებით 70-% სეროზულია, რაც ყველაზე აგრესიული ფორმაა , მაგრამ აგრეთვე, ყველაზე მგრძნობიარეა მკურნალობის მიმართ. III-IV სტადიის საკვერცხის კიბოს 90 % ზე მეტი არის მაღალ უჯრედიანი სეროზული კარცინომა.

ის ახის საკვერცხის კიბის განვითარების რისკ-ფაქტორები?

საკვერცხის კიბოს განვითარების რისკი გაპირობებულია სხვადასხვა ფაქტორით- ასაკის, ცხოვრების სტილის, რეპროდუქტიული ან ოჯახური ისტორიის ჩათვლით. საკვერცხის კიბოს განვითარების რისკი განსაკუთრებით იზრდება ქალებში ისეთი სპეციფიური მემკვიდრეობითი დარღვევით, როგორიცაა BRCA1 ან BRCA2 გენების მუტაცია ან გენური პროფილის სხვა ცვლილებები, რომელიც ზრდის საკვერცხის კიბოს განვითარების რისკს, მაგრამ ასევე, ზრდის მგრძნობელობას პლატინის შემცველი ქიმიოთერაპიისადმი და სხვა ახალი აგენტებისადმი, რომლებიც გამიზნულია ასეთ ალტერაციებზე. თუ ზოგად პოპულაციაში, ქალების 1.4 % დიაგნოზირდება საკვერცხის კიბოთი, ამ გენების მუტაციების დროს საკვერცხის კიბოს შემთხვევები 20 % -ს აღწევს.

რა ვიცი დიაგნოზირება საკვერცხის კიბე?

ამჟამად საკვერცხის კიბოს გამოსავლენი საიმედო სკრინინგ-მეთოდი არ არსებობს და ხშირად სიმპტომები შეუმჩნეველად მიმდინარეობს. საკვერცხის კიბოს სადიაგნოზოდ შესაძლებელია სხვადასხვა კვლევების ჩატარება, მაგ. ონკომარკერ C125 -ის განსაზღვრა, პროტეინის აღმოჩენა, რომელსაც ზოგი სიმსივნე გამოიმუშავებს, სკანირება- მაგ. ულტრაბგერითი და კტ. მაგრამ, საბოლოო დიაგნოზის დადგენა შესაძლებელია საბიოფსიო მასალის აღებით საეჭვო დაზიანებული კერიდან.

რა ვიცი მკურნალობა საკვერცხის კიბეს?

რადგან მესამე-მეოთხე სტადიების სიმსივნეს შემთხვევათა 70 %-ში მკურნალობაზე საწყისი რეაქციის შემდეგ ხელახალი ზრდის ტენდენცია გააჩნია, აშკარაა მკურნალობის ახალი საშუალებების საჭიროება. მკურნალობის ძირითადი საშუალებებია ქირურგიული და ქიმიოთერაპიული მეთოდები. ზოგადად, საკვერცხის, ფალოპიუსის მილისა და პერიოტონეუმის სიმსივნეების მართვა ერთი და იგივე გზით ხორციელდება. საწყისი ქირურგიული და ქიმიოთერაპიული მართვის ყველაზე აპრობირებული გაიდლაინები მრავალწლიანი დიდი კლინიკური კვლევების საფუძველზე განისაზღვრა. მათ შემოთავაზებულ მეთოდებს შეუძლია მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს შედეგები- კვალიფიცირებული ცენტრები იყენებენ მათ. შესწავლილია აგრეთვე, ახალი კლასის მკურნალობაც, სახელდობრ, მაღადიფერენცირებული კარცინომის შემთხვევაში - ანტიანგიოგენეზური საშუალებები, როგორიცაა ბევაციზუმაბი, parp- ინჰიბიტორები, როგორიცაა ნირაპარიბი, ოლაპარიბი და რუცაპარიბი, რომლებიც დამიზნულია საკვერცხის BRCA მუტირებულ კიბოზე. გენეტიკური ტესტირება მნიშვნელოვანია საკვერცხის კიბოს რისკის შემცირებისათვის ოჯახში და პაციენტების თერაპიული მართვისათვის.

Further Information

- Cancer Research UK. Ovarian Cancer: www.cancerresearchuk.org/cancer-help/type/ovarian-cancer/
- Target Ovarian Cancer: www.targetovariancancer.org.uk
- Ovacome: www.ovacome.org.uk/
- European Cancer Observatory: http://eu-cancer.iarc.fr
- EUROCARE: www.eurocare.it
- ENGAGe: http://esgo.org/ENGAGe
- Women's silent cancers - The state of gynaecological cancers in Europe. Updated September 2013: http://esgo.org/ENGAGe/Pages/resources.aspx
- ENGAGe network members http://esgo.org/ENGAGe/Pages/NetworkMembers.aspx
- ESGO: http://esgo.org

References:

1. WHO Globocan 2012. Population Fact Sheet. http://globocan.iarc.fr/Pages/fact_sheets_population.aspx. Last accessed: 20 August 2014.
2. Ferlay J, et al. Eur J Cancer 2013;49:1374-403
3. Cancer Research UK. Stages of ovarian cancer. http://www.cancerresearchuk.org/cancer-help/type/ovarian-cancer/treatment/stages-of-ovarian-cancer. Last Accessed 20 August 2014.
4. Cancer Research UK. Ovarian cancer symptoms. http://www.cancerresearchuk.org/cancer-help/type/ovarian-cancer/about/ovarian-cancer-symptoms. Last Accessed 20 August 2014.
5. Cancer Research UK. Ovarian cancer survival statistics. http://www.cancerresearchuk.org/cancer-info/cancerstats/types/ovary/survival/ovarian-cancer-survival-statistics. Last Accessed 21 August 2014
6. Mc Cluggage WG et al. Data set for reporting of ovary, fallopian tube and primary peritoneal carcinoma: recommendations from the ICCR Modern Pathol 2015; 28:1101-1122.
7. The Cancer Genome Atlas Research Network: Integrated genomic analysis of ovarian carcinoma - Nature 2011; 474:609-615.
8. Cancer Research UK. Ovarian cancer tests. http://www.cancerresearchuk.org/cancer-help/type/ovarian-cancer/diagnosis/ovarian-cancer-tests. Last Accessed 20 August 2014.
9. National Cancer Institute. BRCA1 and BRCA2: cancer risk and genetic testing. http://www.cancer.gov/cancertopics/factsheet/Risk/BRCA. Last accessed: 6 August 2014